ვამტკიცებ
ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის
დირექტორი ნინო ჯანჯღავა

_____

ბრძანება№194; 24 სექტემბერი, 2019წ.

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები 3

მუხლი 3. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები: 3

მუხლი 4. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი 4

მუხლი 5. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევის წესი 4

მუხლი 6. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის ფუნქციები 4

მუხლი 7. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისა და თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი 5

მუხლი 8. თვითმმართველობის მუშაობის წესი 5

მუხლი 9. თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები 5

მუხლი 10. დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა 6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე და 48-ე მუხლებისა და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის(შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) დებულების 28-ე მუხლისა და შინაგანაწესის 47-ე მუხლის შესაბამისად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულს და უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

1.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ;

1.3. მოსწავლეთა თვითმმართველობა ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად, წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა განვითარებაში.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

2.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლა-გიმნაზიის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას;

2.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

2.2.1. იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

2.2.2. თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო, სასწავლო და სპორტულ/კულტურულ დაწესებულებებთან;

2.2.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- მოსწავლეთა პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა და სკოლა-გიმნაზიის მმართველობითი ორგანოების ინფორმირება;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის განვითარებისათვის;
- თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა; მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები:

3.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) სკოლა-გიმნაზიის ბიუჯეტი;

ბ) მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტები, შემოწირულობები;

გ) სხვა, კანონით ნებადართული შემოსავლები.

მუხლი 4. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი

4.1.საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ თვითმმართველობას.

4.2. თვითმმართველობის წევრები აირჩევიან თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით;

4.3. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან 1 თვის ვადაში;

4.4. მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;

4.5. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობაში თითოეული კლასის მოსწავლეები ირჩევენ თითო წარმომადგენელს, მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

4.6. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს;

4.7. საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ერთ კანდიდატს მოსწავლეთა თვითმმართველობაში ასარჩევად. გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელიც მეტ ხმას მოიპოვებს;

4.8. მოსწავლეები, რომელთაც სურთ არჩეულნი იყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე, დამრიგებლის არარსებობის შემთხვევაში კი სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან;

4.9. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატებს უფლება აქვთ აწარმოონ წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია;

4.10. ჩატარებული არჩევნები დასტურდება შესაბამისი ოქმებით.

მუხლი 5. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევის წესი

5.1.მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის მოსწავლეთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს თვითმმართველობას;

5.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე აირჩევა მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

მუხლი 6. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის ფუნქციები

2.1.მოსწავლეთა თვითმმარველობის თავმჯდომარე

ა) ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას;

ბ) წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბების საქმიანობას; დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისა და თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

7.1. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისათვის/წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია: პირადი განცხადება;

7.1.1. მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ სკოლა-გიმნაზიიდან ამორიცხვა/ სწავლის დასრულება;

7.1.2. სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის ან წინამდებარე დებულების წესების უხეში დარღვევა;

7.1.3. არასაპატიო მიზნით 2 თვის მანძილზე მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა;

7.1.4. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

7.1.5. სხვა ობიექტური გარემოება.

7.2. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის დარჩენილი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 8. თვითმმართველობის მუშაობის წესი

8.1. მოსწავლეთა თვითმართველობას ხელმძღვანელობს თვითმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს თვითმმართველობის მოადგილე;

8.2. თვითმართველობის პირველი სხდომა იმართება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევიდან 7 დღის ვადაში, ხოლო შემდგომ - მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის მიერ საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 9. თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები

2.1. თვითმმართველობა დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ათანხმებს მასთან;
- იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათი უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან;
- ხელს უწყობს სკოლაგიმნაზიაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას;
- მონაწილეობას იღებს სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- შუამდგომლობას აყენებს სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით;
- გეგმავს გამოფენებს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან შეთანხმებით;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესთან დაკავშირებით;
- დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლა-გიმნაზიისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
- სკოლა-გიმნაზიის წესდებითა და დებულებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში

მუხლი 10. დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

10.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებას ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;

10.2. დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება შესაბამისი წინადადებების მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომაზე განხილვის შედეგად.